აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

20 მაისი 2005 წ ქ ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, ლევან ჩავლეიშვილი, ზაზა ტუღუში, მამუკა ჯაში, თეიმურაზ ძნელაძე, გუგული დუაძე.

სხდომას არ ესწრებოდაკომისიის წევრი გიზო მჭედლიძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და კომისიის წევრთა აზრის გათვალისწინებით, რათა დღის წესრიგი დარჩენილიყო წარმოდგენილი სახით, დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 64-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის მირზა სუქნიშვილის ადგილმონაცვლის, თეიმურაზ ცეცხლაძის წარდგინების შესახებ
(მომხს. ი. ფაღავა)

2. სხვადასხვა

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ აღნიშნა, რომ ყოფილი დეპუტატი მირზა სუქნიშვილი დაინიშნა ქობულეთის რაიონის გამგებლად და მის ადგილმონაცვლედ კომისიას წარუდგინა თეიმურაზ ცეცხლაძის კანდიდატურა. მან კომისიას გააცნო კანდიდატის ბიოგრაფია, მისი დამსახურებები საზოგადოების წინაშე. ისაუბრა მის მიერ შეტანილ

წვლილზე როგორც ვარდების, ასევე აჭარის რევოლუციებში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა თამაზ შარმანაშვილმაყ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის მირზა სუქნიშვილის ადგილმონაცვლის, თეიმურაზ ცეცხლაძის წარდგინებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -8
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

დაადგინეს: დაევალოს იურიდიულ სამსახურს, მოამზადოს შესაბამისი განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის, თეიმურაზ ცეცხლაძის ცნობის შესახებ;
დაევალოს საერთო სამსახურს, მოამზადოს მიმართვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადგილმონაცვლე თეიმურაზ ცეცხლაძის წარდგინების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია